სამაგისტრო პროგრამის დასახელება

ბუღალტრული აღრიცხვა
Master Program in **Accounting**

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ბუღალტრულ აღრიცხვაში
Master of Business Administration (MBA) in Accounting

პროგრამის ხელმძღვანელი

- სახელი, გვარი - **ელენე ხარაბაძე;**
- აკადემიური თანამდებობა – ეკონომიკის დოქტორი, სრული პროფესორი, დეკანის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამის ხელმძღვანელი;
- სამუშაო ადგილი – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი;
- საკონტაქტო ინფორმაცია – თსუ X კორპუსი, V სართული, ოთახი 502, ტელ.: 30-45-14; 30-30-08; 899-92-28-36; ელ-ფოსტა: ekharabadze@mail.ru
- **ბოლო 5 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები:**
  - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;
  - ფინანსური აღრიცხვა;
  - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები;
  - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები;
  - საგადასახადო აღრიცხვა და ანგარიშგება.
- **სამეცნიერო კვლევის სფეროები:**

ბუღალტრული აღრიცხვა, საგადასახადო დაბეგვრა და საგადასახადო აღრიცხვა, აუდიტი, ჩრდილოვანი ეკონომიკა.

- **ბოლო 5 წლის პუბლიკაციები:**

№	დასახელება	გამომცემლობა	მოცულობა		თანაავტორი
1	ფინანსური აღრიცხვა	საქ. ფინ. სამინისტრ. სასწ. ცენტრის მასალები; 2003 წ.	15.9	ნაბეჭდი	
2	კორუფციული გარიგებების საფუძვლები საქართველოს საგადასახადო კოდექსში	ჟურნალი „გადასახადები“; №3, 2004 წ.	0.5	ნაბეჭდი	
3	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა	საქ. ფინ. სამინისტრ. სასწ. ცენტრის მასალები; 2004 წ.	15.62	ნაბეჭდი	
4	საკანონმდებლო სფეროში არსებული ხარვეზები-საქართველოს ენერგოსისტემაში კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორი	ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულის და კორუფციის კვლევითი ცენტრი; 2004.	1.88	ნაბეჭდი	რ. ბოკერია
5	ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი	გამომცემლობა „სიახლე“; 2005 წ.	3.63	ნაბეჭდი	
6	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	აშშ საერთასორისო განვითარების სააგენტო-USAID ფი-ეი კონსალტინგი; 2005 წ.	5.94	ნაბეჭდი	
7	საქართველოს კონტროლის პალატის საკონკურსო-საატესტაციო ტესტები	საქ. კონტროლის პალატა, 2005 წ.			
8	ფინანსური აღრიცხვის საფუძვლები საერთაშორისო სტანდარტებით	საქ.მთავრობისა და გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი UNDP; 2006 წ.	10.2	ნაბეჭდი	
9	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო სისტემაში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის ტესტები	დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა კავშირი; 2006 წ.			
10	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, მე-2 გამოცემა	„ინოვაცია“, 2006 წ.	14.0	ნაბეჭდი	
11	იჯარის აღრიცხვა	ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“	2007 წ.	გვ. 24-33	
12	არამატერიალური აქტივების აღრიცხვა	ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“	2007 წ. №1, 2	გვ. 27-29;	
13	ბუღალტრული აღრიცხვა	საქ. ფინ. სამინისტრ. სასწ. ცენტრის სალექციო კურსი	2007 წ.		
14	ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	„უნივერსალი“, 2007 წ.	15.0	ნაბეჭდი	

ბოლო 5 წლის განმავლობაში მიღებული სამეცნიერო გრანტები:

გრანტის დასახელება	გაეროს განვითარების პროგრამა-"საქართველოს ფინანსური სისტემის მოდერნიზაცია" მეორე ფაზა
დონორი ორგანიზაცია	გაერო UNDP-00041630
თარიღი/ვადები	2006 წ.
თქვენი როლი/თანამდებობა	ტრენერი
გრანტის საერთო თანხა	6400 ლარი
გრანტის დასახელება	გაეროს განვითარების პროგრამა-"საქართველოს ფინანსური სისტემის მოდერნიზაცია პირველი ფაზა"
დონორი ორგანიზაცია	გაერო UNDP-00041630
თარიღი/ვადები	2005 წ.
თქვენი როლი/თანამდებობა	ტრენერი
გრანტის საერთო თანხა	3500 ლარი
გრანტის დასახელება	საქართველოს ენერგო უსაფრთხოების ინიციატივა
დონორი ორგანიზაცია	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, ფი-ეი გოვერნმენთ სერვისი
თარიღი/ვადები	2005 წ.,
თქვენი როლი/თანამდებობა	ტრენერი
გრანტის საერთო თანხა	950 აშშ დოლარი
გრანტის დასახელება	გაეროს განვითარების პროგრამა-"საქართველოს ფინანსური სისტემის მოდერნიზაცია პირველი ფაზა"
დონორი ორგანიზაცია	გაერო UNDP-00041630
თარიღი/ვადები	2005 წ.
თქვენი როლი/თანამდებობა	ტრენერი
გრანტის საერთო თანხა	3600 ლარი
გრანტის დასახელება	საკანონმდებლო სფეროში არსებული ხარვეზები-საქართველოს ენერგოსისტემაში კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორი
დონორი ორგანიზაცია	ამერიკის უნივერსიტეტის ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრი (TraCCC)
თარიღი/ვადები	2003-2004 წ.
თქვენი როლი/თანამდებობა	მკვლევარი მეცნიერი
გრანტის საერთო თანხა	2000 აშშ დოლარი
გრანტის დასახელება	საჯარო ფინანსების სტატისტიკის სწავლება (GFS-2001)
დონორი ორგანიზაცია	მსოფლიო ბანკი
თარიღი/ვადები	2007-2008 წ.
თქვენი როლი/თანამდებობა	კონსულტანტი
გრანტის საერთო თანხა	83.0 ათასი აშშ დოლარი (ჯგუფთან ერთად)

დამატებითი ინფორმაცია

თარიღი	ნოემბერი, 2001 წ.
დაწესებულება	USAID, Sibley აშშ-ის საერთაშ. განვითარების სააგენტო
სპეციალობა	კურსი - სასწავლო მასალის შედგენა
თარიღი	ნოემბერი, 2001 წ.
დაწესებულება	USAID, Sibley აშშ-ის საერთაშ. განვითარების სააგენტო
სპეციალობა	კურსი პრეზენტაციისა და სასწავლო კურსის წარმართვა
თარიღი	აგვისტო, 2000 წ.
დაწესებულება	London College of Accountancu - ლონდონის საბუღალტრო კოლეჯი
სპეციალობა	კურსი - ACCA-ს პროგრამის „სწავლება მასწავლებლებისათვის“
თარიღი	ივლისი, 2000 წ.
დაწესებულება	USAID, AED - განვითარების განათლების აკადემია
სპეციალობა	კურსი - ACCA-ს სწავლება მასწავლებლებისათვის
თარიღი	სექტემბერი, 2000 წ.
დაწესებულება	USAID, AED - განვითარების განათლების აკადემია
სპეციალობა	კურსი ბიზნესის შეფასება
თარიღი	ივლისი, 1999 წ.
დაწესებულება	SIBLEY International, ბაფ-ი
სპეციალობა	კურსი მმართველობითი აღრიცხვა
თარიღი	დეკემბერი, 1999 წ.
დაწესებულება	SIBLEY International, ბაფ-ი, აუდიტორული საქმიანობის საბჭო
სპეციალობა	კურსი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
თარიღი	16,03,1998-3,04,1998
დაწესებულება	IESC - ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი
სპეციალობა	კურსი საერთაშორისო საბუღალტრო აღრიცხვის სტანდარტები
თარიღი	6,04,1998-24,04,1998
დაწესებულება	IESC - ექსპერტთა საერთაშორისო კორპუსი
სპეციალობა	კურსი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
თარიღი	1998 წ.
დაწესებულება	საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო
სპეციალობა	აუდიტორი

- ბოლო 5 წლის განმავლობაში ელენე ხარაბაძის ხელმძღვანელობით შესრულდა 8 სამაგისტრო ნაშრომი;
- ბოლო 5 წლის განმავლობაში თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის აღრიცხვისა და აუდიტის კათედრაზე დაცულ იქნა 98 სამაგისტრო ნაშრომი.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის.

დღევანდელ ბიზნეს-სამყაროში ბუღალტრის პროფესია შთამბეჭდავი კარიერის შესაძლებლობებს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა ბუღალტრულ აღრიცხვაში თავს უყრის ყველა აუცილებელ და საჭირო დისციპლინებს, როგორებიცაა: ფინანსური აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, აუდიტი, გადასახადები, მათი აღრიცხვა და ანგარიშგება, მმართველობითი აღრიცხვა, გადაწყვეტილებების სწორი და დროული მიღება და ა.შ. პროგრამა ასწავლის მაგისტრანტებს ტექნიკას და კონცეპტუალურ მიდგომას ბუღალტრული აღრიცხვისადმი, ემსახურება მათ გამოიმუშაონ ძლიერი ფინანსური და ანალიზური უნარ-ჩვევები, რათა შესძლონ პრეზენტაციების გაკეთება და მუშაობა გუნდური პრინციპით.

შედეგი

პროგრამის საფუძველზე მიღებული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით ბუღალტრული აღრიცხვის მაგისტრები შესძლებენ ქვეყანაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების შეფასებასა და ანალიზს, უზრუნველყოფენ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებას და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტებით; გაანალიზებენ საწარმოს საქმიანობასა და მის ფინანსურ შედეგებს, შესძლებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზსა და მართვას, კონკრეტული სიტუაციების შესაბამისი სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

დასაქმების სფეროები

ბუღალტრული აღრიცხვის მაგისტრები წარმატებით იმუშავებენ ფინანსურ მენეჯერებად, მთავარ ბუღალტრებად, აუდიტორებად, ფინანსურ ანალიტიკოსებად, ბიზნეს-ანალიტიკოსებად.

ბუღალტრული აღრიცხვის მაგისტრებზე დიდი მოთხოვნაა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებში, საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებში, ეროვნულ და კომერციულ ბანკებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებსა და სხვა სახელმწიფო, არასამთავრობო თუ კერძო საწარმოებში.

6. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობებია: ბიზნესის ადმინისტრირებასა და ეკონომიკაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; უცხო ენის ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის ან რუსულის B-1 დონეზე ცოდნა; ასევე, სასურველია კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევების, ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა. მისაღები გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესით.

სამაგისტრო პროგრამა 2008-2009 წელი

შემოდგომის სემსეტრი

ბუღალტრული აღრიცხვა

მისაღები გამოცდის საკითხები

1. ბუღალტრული აღრიცხვის კვლევის საგანი, მეთოდი, ობიექტები;
2. ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ძირითადი დაშვებები;
3. ფინანსური ანგარიშება, მისი ხარისხობრივი მახასიათებლები, კომპონენტები და ელემენტები;
4. ბალანსირების პრინციპები, ბუღალტრული ბალანსი; სამეურნეო ოპერაციათა გავლენა ბუღალტრულ ბალანსზე;
5. ბუღალტრული ანგარიშები, მათი არსი, წარმოების პრინციპები; ანგარიშთა კორესპონდენცია და ორმაგი ჩაწერა;
6. ბუღალტრული ანგარიშების კლასიფიკაცია;
7. სააღრიცხვო პოლიტიკის არსი და ასპექტი;
8. სალაროს ოპერაციების აღრიცხვა;
9. უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები და მათი რეგულირება;
10. ანგარიშსწორების ანგარიშის ოპერაციების აღრიცხვა;
11. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის თავისებურებები;
12. ძირითადი საშუალებების მიღების აღრიცხვა;
13. ძირითადი საშუალებების ცვეთისა და ამორტიზაციის აღრიცხვა;
14. ძირითადი საშუალებების გასვლის აღრიცხვა;
15. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა;
16. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების გაანგარიშების მეთოდები;
17. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის ოპერაციების დოკუმენტაცია და აღრიცხვა;
18. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გასვლის ოპერაციების დოკუმენტაცია და აღრიცხვა;
19. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების აღრიცხვა;
20. უიმედო და საეჭვო მოთხოვნების აღრიცხვა;
21. სათამასუქო და სხვა მოთხოვნების აღრიცხვა;
22. მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებების აღრიცხვა;
23. დარიცხული ვალდებულებების აღრიცხვა;
24. საგადასახადო ვალდებულებების აღრიცხვა;
25. გრძელვადიანი ვალდებულებების აღრიცხვა;
26. შემოსავლების აღიარების მეთოდები და პრინციპები;
27. საქონლის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა;
28. რეალიზებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა;
29. არასაოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა;
30. საოპერაციო ხარჯების აღრიცხვა;
31. დანახარჯების კლასიფიკაცია და აღრიცხვის მეთოდი;
32. მასალების დანახარჯების აღრიცხვა;
33. შრომითი დანახარჯების აღრიცხვა;

34. უზარალობის წერტილის ცნება, ზღვრული დანახარჯები და ზღვრული მოგება;
35. ზედნადები ხარჯების აღრიცხვისა და განაწილების წესი;
36. აუდიტის არსი, აუცილებლობა, მიზნები და ამოცანები;
37. აუდიტის ჩატარების ეტაპები. აუდიტის დაგეგმვა და აუდიტორულ სამუშაოთა მოცულობის განსაზღვრა;
38. აუდიტის სახეები;
39. აუდიტის რეგულირების სამართლებრივი ფორმები;
40. აუდიტორთა ჯგუფები: დამოუკიდებელი, შიდა და სახელმწიფო, მათი მოქმედების არიალი;
41. ეკონომიკური ანალიზის არსი, საგანი, ობიექტები და სახეები;
42. ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, კვლევის სპეციფიკური ხერხები;
43. ეკონომიკური ანალიზის საინფორმაციო ბაზა;
44. მატერიალური რესურსების წარმოებაში გამოყენების ფაქტორული ანალიზი;
45. შრომითი რესურსების წარმოებაში გამოყენების ფაქტორული ანალიზი;
46. ძირითადი ფონდების გამოყენების ეფექტიანობის ფაქტორული ანალიზი;
47. საანგარიშგებო წლის მოგების და მისი გამოყენების ფაქტორული ანალიზი;
48. ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის ანალიზი;
49. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ანალიზი;
50. ფინანსური მდგომარეობის ზოგადი ანალიზი.

ლიტერატურა:

1. ე. ხარაბაძე, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, თბილისი, 2006;
2. ე. კუპრეიშვილი, ბუღალტრული აღრიცხვის კურსი თბილისი 2005;
3. ა. ხორავა, ნ. კვატაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი, ბუღალტრული აღრიცხვა (თეორია, ფინასური აღრიცხვა), თბილისი, 2006;
4. რ. ძაძამია, ფინანსური აღრიცხვა, თბილისი 2000;
5. მ. მიქაძე, მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი, 2000 წ.
6. ჩადუნელი ო. – მმართველობითი აღრიცხვა, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ. 2005 წ.
7. ნ. ქებაძე – აუდიტის საფუძვლები, თბ. 2005 წ.
8. მონტგომერი, აუდიტი (თარგმანი ინგლისურიდან), თბილისი, 1998.
9. ე. ცირამუა, სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი. თბილისი 2006.
10. ფ. ბურდული, ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის აქტუალური საკითხები. თბილისი 2002.